

ମୁଦ୍ରଣ



m-1352.

୪୯

1935

მინისტრი



მ-1352

0 6 0 3 6 9 3 0

0 6 0 3 0 8 0 6

0 6 0 3 0 6 0 3

პრეზუმი მინისტრი

მინისტრი

ORNATI

Recueil politique géorgien

Directeur Victor Nosadzé

ვარდიშვილი

1985 წ.



დამოუკიდებლობის დღე

პატარა ერის თვითმყოფობის საკითხი, თავისთავად რთული და დამკიდებული მის მეზობლად მყოფ ერების მისწრაფება და ტანთ-ზრდის სურვილებზე, უფრო რთულია და მძიმე იმ შემთხვევაში, როდესაც ეს პატარა ერი უკვე მოქცეულია იმპერიის საზღვრებში და გაღვიძებული ეროვნული წალილით, აღვინებული ეროვნული ნებისყოფით თავისუფლებისათვის ჩარჩონის და იმპერიის ფარგლებშიდან გამოსხლობასა ლამობს.

ეროვნულად უკვე მომზადებული და ბრძოლის ასპარეზზე გამოსული ერის იმედის განხორციელება და ნატერის მოელენიდან სინამდვილეში გარდასვლა ბევრ გარეშე ვითარებიდანაა დამოკიდებული და სშირად მისი ხუნდების დაყრა თუ მისი ბატონი ერის დაქცევა-გაპარტახების შედევი არაა ხოლმე, ყოველ შემთხვევაში, მისი თავისუფლება მძიმე ბრძოლის მოედანზე მრავალ გამარჯვებათა მიღწევების მეონებით ხდება. პირველი ასეთი ერის ჩინებული მაგალითია — ფინეთი, ხოლო მეორე ერს წარმოადგენს — ირლანდია. ეროვნულად მებრძოლმა ფინეთმა ჩუსეთის იმპერიის საზღვრებს ჩევოლუციის დროს სულ ითლად თავი დაახწია, და ირლანდიის კი მრავალი სისხლიანი ბრძოლა დასჭირდა სანამ ბრიტანეთის პარლამენტი და მთავრობა მას თავისულებას მიანიჭებდა. იმ ორ შესანიშნავ მაგალითს შორის საქართველო განმარტოებულია და ცალქე სდგას.

ასი წლის მონაბაძ და ეროვნულმა დაჩიანაკებამ, როცა ძეველი საჭართველოს თვითმყოფობის ნიშან-წყალი წაშლილ იქმნა ჩუსეთის მიერ და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ტრადიცია ძალზე შელიაული, ქართველი ხალხი, თავის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მოკლებული, ეროვნულად წყვდიადში ჩავიდა და იღარ არსებობდა მომქმედი ეროვნულ-პოლიტიკური ქარაზმულობა, რომლის დანიშნულებაც უნდა ყოფილიყო ქართული სახელმწიფოებრივი აღდგენისათვის ბრძოლა. რასაკვირველია: იყო ეროვნული პროპაგანდა, პოლიტიკური იდეალის ასახვა; იყო ბრძოლა ეროვნული თვითცნობიერებისათვის, ეროვნული შეგნების სახელმწიფოებრივი იდეალისა და დამოუკიდებლობის იდეის დონემდე ასაწევად, — მაგრამ ეს იყო ხანა მომზადების, ხანა ეროვნული მეობის ნელი ზრდისა და მებრძოლ ძალთა მცირე გუნდებად დარაზმეისა და ბრძოლად გამოყვანის ხანა. მაგრამ

ոյզու եան մոուցա և ուուալուրմա ծրմուամ դա ման ցագաչպլաձա դա დաշյահա յիրունուլո. դա ասք: յահուցելո յրո ուց մուակլուցա մետու-
լուունո մուսալունել թիետա դա մետրուցատա դրու, հոմ ոյց ահսեծո-
տագ արմա ցոյշիրմբա մի մոմացալ մուլլենատատցու սամեցա անցարուն
ցայթի ամ մոմինացեցուլո նեխցըդրուց. մարտալու: ամ մոմարտուլլեցի ն
նորունեցանո տու չացուցո մումեցեցեց, մացրմ ցև ծրմինցալո տա-
ռունուն արց սայմահուսո ոյց դա արց ուցտո, հոմելսաւ յրո սինամժցա-
լուն մուշցեցուն. դա հուցեսաւ մուսմա ծորուցա հուսետու միներուսու
մենունուն լավա-լութու եմա, յահուցելո յրո ամ գուց ուցտուուլ մուլլո-
նաս մուշմացեցեցու նեխցը դա մարինսութուլ-սուուալուսթուրո პահույ-
ծուս մետասրունուտ, ցարցուցու սամումեցու ցանչ մուլլեցուլո, դացար-
ցուլ նացացու ածոնչիրեցուլ ցուուրուսու բալուցու աշցա.

սայահուցելու սանցյահո դա ուցուատու ցուտարեց նեյյիմնա — Ու Ռե-
նյահու, հոմելու մուսու ծարունու ոյց, բամիալա դա դամիսեցիր. յահուցե-
լո յրուս մանունցու ելլմմցանելուն, ն. յուրունուս մետասրունուտ,
ամ լուսինցանոնաց մուլլենաս ծորունուտ դա ցլուցու նեխցը, դա
յիրունու օդցալուս ահա-մշտու, կալաց հուսետու ալցցենուս դա ցլու-
յիրարուս ցամարչցցեցու մեցուտ, „օգջուլուներուց“ սայմեցի ցաւցալաեցի ն
շմցացուն. յահուցու սուուալուսթուրո մոմինուն ոյց ուուուույ-
րաց անցու-յիրունուլու, ցոնաուն յահուց սախալեռ մոմինուն ման
մուսու մունաց հուսետու հույսուս նեցուլլա, ուուումեցունեցունուսու մացոյ-
րաց հուսկունուցու ճահսեցա դա ահա հուսետու ծարունուն մունուրից
դա տացու ցանտացուսուցուլուց. դա հուցեսաւ հուսուլո ցւուսուրո ցլու-
յիրարունու հույսուս ծուլմցունինան ցադասանսուլ, — յահուցու “ցլու-
յիրարուս“ ելլմմցանելուն, միարու մեցուու կալաց հուսետու ալցցե-
նանց ցոյշիրմբա, սանամ սամերետու մուսու նեցունի ումալլորո ենի
առ ացուալու. սուուալուսթունու ումույմեցեց դա յիրունուլ սայուտին
սրուլո նունուանցեց, մի ցարդարունուս եանանու ցամուցցետունու օդցալուս
նյունուն, ճամուցուցեցունուս ցամուցուցեցիսատցուս մոմամինացեցուն
նորունցուս ցոնաալմուց նեցնեցուլո ծրմուաց կո, — նեյյիմնա մի ցուու-
յուլուցուր դա ծուլուույս ուցիրուրաց, 26 մասու հոմ ճացցանա դա
սայահուցելու սացարյու ցուտարեց ցայսահես դա ֆաւուշի. ճամու-
ցուցեցունուս առ ցամուցեացու սանամ մանունցու յահուցելո յրուս ելլ-
մմցանելուն ուցեռ մալամ առ անցուլո. ցև մանուլեցելո ոյց սամերե-
տու մունունուն ումալլուտո, հոմելու 1917 թլուս ցցյումեցրուն
ճայնունցուտ մուուտեցու սայահուցելու դա սայրտու ցոցյասուս ճամո-
ւյուլուցուն ցամուցեացեցու! հաց տուշմուս եանցարո թլուս նեցուն
ումուլեցուտ մանու ուցիրո նեյյիմնա. մցցարաց 26 մասու ցամույմեցուլո ոյց
սրուլուաց ցարյշի, ուցյունուրո նորունցուս ցամա: հուսետու ճանցրցա

და ოსმალეთთან ომი! და მასში სუბიექტიური მხოლოდ შედეგი იყო. ეს გახლდა ის საშიში მოელენა, რამდენადაც ეროვნული ნებისყოფა ამ იქტში გადამწყვეტ როლს არ თამაშობდა და მარქსისტული ხელმძღვანელობა ეროვნული დამოუკიდებლობის ცეცხლით აღგზნებული არ იყო. და მართლაც, ამ ხელმძღვანელობამ ისტორიის მსვლელობას ალლო ვერ აულო, ვერც სახელმწიფოებრივი შემოქმედების ნიჭი გამოიჩინა და ხონჩიშე მორთმეული ეროვნული დამოუკიდებლობით ვერ ისარგებლა, გარნა ვერც გამოამჟღავნა ეროვნული ეგოიზმის გრძნობა, ვერც მოაწყო თავდაცის საქმე და ვერ შევქმნა ბრძოლის უნარი; მან ვერ გამოიჩინა უბრალოდ პარტიული ეგოიზმიც კი, ვერ იმოქმედა და ვერ მოეწყო ისე, იმდენი მაინც ვერ მოახერხა ამ გაბატონებულმა ს. დ. პარტიამ, რომ თავისი ბატონობა შეენარჩუნებია, ამგვარად დამოუკიდებელი სახელმწიფო დაეცვა და ერთ ამის შედეგად უდიდეს უბრალოებისაგან ებნა. აქ იყო ორ მარტო უნიჭნობა, არა სურვეილის უქონლობა, არამედ ის საშინელი სენი, ქართული ცხოვრება უკანასკნელი თავულ წელთა განმავლობაში რომ დაავადა და დააბერჩავა. ხალხი აფხაზილი ყალბ ინტერნაციონალურ იდეაზე, დაფაქტურული მარქსისტული დოქტრინებით, ნაწვალევი პარტიული ბროგრამებით — ვერ შემჩრდა და ვერ დადგა ეროვნულ ნიადაგზე; მან ვერ მოიშორა თავული წლებით ნაღები და ნაცოხნი იდეალები; მან განაგრძო ძველი გზით მოღვწეობა და ისეთი რესპუბლიკის დაარსებასა და შექმნას დაგვირდა, რომელიც პირდაპირ, დიდ დემოკრატიულ ლიანდაგით სოციალიზმში შესრიალდებოდა. — ხოლო შესრიალდა არა აღთქმულ ქვეყანაში, არამედ ჩუქეთის ბატონობაში! ბოლშვიკური სოციალიზმის დროშით კვლავ ჩუქეთი მოგვევლინა და სოციალისტური ჯიბრი და ქიში: თუ ვინ უკეთეს სოციალისტია, ჩუქეთის ბატონობით დასრულდა. — ხოლო აქ იგრძნო ყველამ, მხოლოდ აქ გაიგო ყველამ, რომ ჩუქეთი კვლავ მოვიდა ბატონად და აქედან იწყება ნამდვილი ეროვნული ბრძოლაც. — ამ ბრძოლას პირველივე ხანიდან წინ მიუძღვიდა დევლ პარტიათა დროშები, და როდესაც ამ ძევლთა პარტიათა წინქმდოლობამ საქართველოს განმეორებით შემცირება თავს დაატეხა, — ეს დროშებიც გავქრა და ქართველი ერთ დღეს უჩინარი ეროვნული ხელმძღვანელობით ბრძოლას განაგრძობს. თვითოვეული ქართველი დღეს იქ მებრძოლია და საერთო შედეგად მოცემულია უდიდესი ეროვნული ბრძოლა, რომელიც ყოველ ნაბიჯზე, ცხოვრების ყოველ დარგში სწარმოებს. ამ ბრძოლაში იჭედება ქართული ეროვნული მეობა, მტკიცდება ეროვნული ნებისყოფა და ირაზმება ერთ მისთვის აღარ არსებობს არც ძევლი პარტია, არც ძევლი პროგრამა, — ბრძოლა წმინდა ეროვნულზე დამყარებული და მზადდება ფართო

ასპარეზი ამ ეროვნულის შესაფერ პირობებში გასაშლელად და განსამტკიცებლად. ეს პირობები შეიქმნება. და ამ პირობათა გაღმოშლის დროს ერთ აღარ იქნება პასიური, როგორც წარსულ 26 მაისს, არამედ მხოლოდ აქტიური. ეითარცა რუსეთის ნგრევის დროს, ისე თვითმყოფობის აღდგენაში ქართველი ერთ, ჩვენ ღრმადა გვრწამს, ყოველ ღონეს მიმართავს თავდაუზოგველად და იბრძოლებს უკანასკნელი სისხლის წვეთამდე, — და ამ ბრძოლის პირველ ხაზზე ჩვენ ვიქნებით — ეინაიდან დღეს ერთს იდეალი და ჩვენი ერთი და იგივეა — საქართველო უწინარეს ყოვლისა!

ვიკ. ნოზაძე

დავით კუროპალატის მემკილეობა*).

ბიზანტიურ იტორიაში ტაოელი დავით კუროპალატი, „დიდი კუროპალატი დაეყით“ (1001 წ.), ცნობილია პირველად ყოვლისა თავისი მძღვე ჩარევით ბასილ მეორეს და კონსტანტინე მეტრეს გვირგვინის სასარგებლოდ, რომელსაც 976—979 წწ. ბარდას სკლიაროსის მეუხარე აჯანყებით საფრთხე მოელოდა. კუროპალატის მიერ წარგზავნილმა ჯარებმა, როგორც სჩანს, მეორე ბრძოლის დროს, პანაკლიაში, ტახტი გამარჯვება მიანიჭეს. მაშინათვე, გამჭრიახმა სახელმწიფო კაცმა, ივერიის კუროპალატმა თავისი შემწეობის სამაგიეროდ, ზოგიერთი ტერიტორიული კომპენსაცია მოითხოვა. ეს მას დაუთმეს მარტოოდენ მისი სიცოცხლის განმავლობაში სარგებლობის უფლებით. ყოველ შემთხვევაში, მისი სამფლობელო ამით შესამჩნევად გაიზარდა. უფრო გვიან, ამბობენ, მთხუცმა კუროპალატმა ბასილ მეორეს ეს სამფლობელონი მოლიანად დაუბრუნა, ესე იგი, როგორც თავისი მეკიდრი სამფლობელო, ისე მის მიერ ახლად შეძენილი მამულებიც დავითის დარღიცვალებისათანავე, 1001 წ., ბიზანტიის იმპერატორი თავისი ჯარების თანხლებით ამ მეტვიდრეობის მისაღებად პირადათ აღგილობრივ გაემგზავრა. — ამ შემთხვევისა გამო, მეზობელ

*) ოხილეთ: — Z. Avalichvili : La Succession du Ceuropalate David d'Iberie, Dynaste de Tao. Byzantion, tome VIII, fasc. 1.

Կազբանույն թղթաքարայցին թուլածարայցին գամարուա. ամ Յիշոմասուլու (Ցինանքուու) սահելմի՛տուու այսաւը մոջանաչ ասալու Ռե՛ռուտուրուլու սահնակու սննդա դագաբնուուպո, հռոմլու ցագալանեցօմ ացեան-յահուցելու վածնու մեջու ցուրհու ձորացուու մոյր Մյուլցա՛՛, 1021 թ., Ցինանքուր-յահուցելու ոմի ցամունիցու. ամ ոմիս, ծասուլու մեռհու ուրալու ցամահցու. ծու հռու քասրուլու, ու Նոցուրու ացեռու դացուցերցի, միքերուու սանցուրու մենանարց միցարու եղութամց ցալանից.

Ծու մալուրու ցարևանահուսուտ — յս եղուհահուցելու ոմի սեցա արա ոյս հա ու ար ոմի մեյցութերամասացու, — մեյցութերու Մյուսալութելու դացա բառու լու գացուուս, „անցուրհուս“ ցամու.

յս մոցլենանո, կազբանուրու յեցպեցիսատցու դա ացիւցա միքերուու սատցուսապ (Ցինանքուուսատցու) այս միշունելուցանո, մետերութերու սայ-պնու տուրիյտա դուզ տացդասեմատա Ցին, հաց մուրու անուանու սելաշչուտա ցահաթունեցիս ճասանցուս Ուսու, Յիտահուցիւան პուլութիւցիւ Օթ միմլունահու-ռմիս ցցուրդուտ, հռմելմաց Սկաց յրտու սայցունեա, Լոմենտա մուլութելնու ուղարկուլու ցահացա յրտու-մետուրիչ մոմցունունիտ, տացուս մյութերու մինիւ մուրուցեցիուտ, յոմիշենսալուցիս սանցուալցիստ տացուն սահելմի՛տ-ցոնու Ցինանքուու միքերուուսատցու դացտմուտ, յրտու սուրպուտ, ցուորց-ցոնիշ սահու յուշատ, ան, հատա միքերուու սահնցուրեցիւ սեցագան ճասան-լութուուցեց դա տացուս յրմեցի դա եալեսու նախուլու տան Քայցանատ, ան, հատա սածուլուուդ Ցինանքուու յոնուր նաուր-նասրունանու ցատէցուու-լուցու.

Ոցուց մոցլենանո, Մյուսալու մասնց, ճացուտ յուրուու-լութու մեյցութերամաս այս հռուլ սայմեշու հռուլս տամաշունց; Կա-սելունած, ծասուլ մեռհու ըրուուս ուղուու միքերուուսատցու Ցինանքուու ցացա-հռուուեցա, Ցինանքուուսամու յահուցելու ուղուունումու յրտու նախուլու մու-դրեցուլցիս դա սեցա. մացրամ Մյուլումա յինեծունց այսաւ դացուցնան, հռ-ցորու մաս սիածու, յուցց մացալուուտ, մարյանիու, մեռլու սոմենտու „ուացա ցացուցու“ Մյութեցեցա. ձորցուու պուլուս, համցոնաճաց յս սայմե սոմենու մունիշուալս Մյութեցու, հռուրու մաս ճացունահաց, սո-տացրայս նախուլու միմս սնիրալուու սյան - ճամիշունեցա Քահուուցեցնց, հաց ճացուտմա ձորացու սահցելուու մասն մու-դրու անուանու մասու սահցելուու սյուլունց ուղուուտ միքերուուսացան մուլու. հաց յուրուունուանու մյութու դա սեցա սամցուրելուցիս Մյութեցա, դա մատնու Մյութեցիս յուցունուու յուցուուու յահուցելու, սոմենու դա Մյութեցու մունի-շուալու միքերուու մատու „Մյութուու“ ույիշաճաց ար մուսցունա; ման ուսնու յուրուունուանու միքերուու մատու մուսցունա; դա մատ Մյութեցու 1021—1022 թ. յուրհու ձորցուու, „ացեանու դա յահուցել-տա“ մեցու Ցինանքու ուղու սննդա ցադացեացա.

Սայմե ուսա, հռու մետերութերու սայցունու Ցուրհութիւ, մաստան յրտուու,

რაც ეხლახან მოვიხსენიეთ, კავკასიურ პოლიტიკაში მეორე მოვლენაც გამოტყერა, კავკასიის არქზე პირდაპირ ბიზანტიურ საზღვრებს რომ შეეხო; მოვლენა აღსაცეს მომავალით და საკმაოდ ძლიერი, ბერძნული იმპერიისა და შემდევში ოურქთაც წინააღმდეგობის გასაწევად: ესაა პირველიც ყოვლისა, სხვა და სხვა ქართულ მიწა-წყალთა ერთ თაიგულში შექრებისაკენ სწრაფვა, ისიც პანკაცებისური იერით მოსილი. ეს პოლიტიკური მოძრაობა, საიდანც აფხაზურ-ქართული მონარქია წარმოიშვა, ეს ერთად-ერთი აღვილობრიეტი ძლიერი და გამძლე პოლიტიკური ქმნილება, კავკასიაშ რომ ოდესმე დღემდე შეკვეთია, გადაბმულია მეათე საუკუნის დასასრულისას, ნაწილობრივ მაინც, თვით ტაოელ დავით კუროპალატის პიროვნებასა და მოღვაწეობასთან, და სწორედ ესაა საბუთი, რომ იგი მთავარი მოსჩანდეს ისტორიაში კავკასიის უდიდეს პოლიტიკოსთა შორის.

ბასილ მეორეს დროის ბიზანტიურ-ივერიულ აღრევაში უფრო ნათლად რომ გაერქვეთ, ანგარიში უნდა გაეწიოს იმ ორ მიდრეკილებას, ურთიერთ საწინააღმდეგოსა და ღრმას; კავკასიის ფარგლებს რომ ეხე-თქებოდა — ბერძნული იმპერიის მიერ სომხურ სამთავროთა და სამეფოთა თანდათანობითი ჩაყალბვა და ფართო კავკასიური სახელმწიფოს გულის — საქართველოს სამეფოს შეკვეთია. მეორე მხრივ, როცა ვიცით, კუროპალატის დიდი სახელი როგორც ქართველთა აგრძელებული სომხეთი შორის, და როცა ვფიქრობთ იმ მოკრძალებაზე, მისი რომ ბიზანტიულებს ჰქონდათ, ვკითხულობთ: როგორ მოხდა იმდენი სიკეთისაგან (საკარისია წაიკითხოთ მისი შესახები ხოტბა, ასე ვულწრფელი, სუმბატის ქართულ, ასოლიერისა და მათე ედესელის სომხურ ქრონიკებშიც), იმდენი პატივისაგან და მიღწევათაგან საბოლოოდ მისი ასტუდა, რომელ-მაც პირველად ყოვლისა, მისი საკურათი ქვეყანა ტაოსი გაასისხლიანა და გააძარტასა? ალბად ის პირადათ აქ არაფერ შუაში ყოფილია. მეათე საუკუნეში, ბიზანტიის სახელმწიფოს განახლებული გაფართოებისა და გაერთიანებული საქართველოს წარმოშობის შორის, იგი, დავითი, კავშირის რგოლს წარმოადგენდა, სანამ ცოცხალი იყო.

გაქვერა იგი და შეიქმნა ჯახაჯუნიც.

კუროპალატ აშოტის († 826) პირდაპირი ჩამომავალი, დავითი, ქართველ ბაგრატიდების იმ სახლს ეკუთვნოდა, რომლის შტონი, აქ მათ უწინდელ მდგომარეობას თავი რომ დაგანებოთ, ბუნდოვან და შორეულ ბიზანტიური სუზერენობის ქვეშ, შუა ჭოროხისა და ზემო - მტკვარის ტერიტორიაზე ხელისუფლობდენ.

ამ მთიან მხარეში გამოჩენისას, და ეს არ უნდა დაგვავიწყდეს, მათ ეს ქვეყანა ნახეს თითქმის უდაბნო, იავარქმნილი ომებისაგან და შემოსევათაგან.

ქართველი მოსახლენი, აღმოსავლეთიდან აჩაბთა რეეიმის სიმკაცრი—
საგან გაღმოხვეწილი, ამ მიწაზე დასახლდენ. მათ თავი მოიყარეს
კლარჯეტში, მმართველი სახლის გარშემო, კუროპალატ აშოტის დროს
არტანუჯს რომ დასახლდა. შეიქმნა დინასტიური ტრადიცია, კონსტან-
ტინე პორფიროგენეტის მიერ მეათე საუკუნეში გულდასმით აღნიშნუ-
ლი და ერთი საუკუნის შემდეგ, ახსნილი და განმარტებული დავითის
შვილის, სუმბათის მიერ. ეს აღმა იყო თვითონ ბაგრატიდი, ამ სახლის
განსაკუთრებული ქრისტიანი დამწერები.

ეს არ იყო ამ კუთხის არც ბირეველი და არც უქანასკნელი ცვლილება.
ქართული ტაძრები, ეკკლესიები და მონასტრები აღშენდენ აქ, ხშირად
ნაგრევებზე იმ ძველ სომხურ დანაწესებთა, რომელნიც ოდესაც სო-
მებ შემოხაზნულთა მიერ შექმნილი იყო, ხოლო არა სომხურ (არამედ
ჭანურ) ნიადაგზე.

კუროპალატ დავითის დროს ჭოროხის ხეობის ეს ნაწილი ორი საუ-
კუნის სიგრძეზე უკვე ქართული იყო, ქართული ენით, სარწმუნოებრივი
მიმართულებით და პლატიფერი ბატონობით.

დავით კუროპალატის ბედის დასაწყისისა გარევეული არა ვიცით რა;
მანიც საგულისხმოა, რომ საკმიდ მცირე მემკვიდრეობითი სამფლო-
ბელოს პატრიმა, თავისი თავი ბიზანტიელებს აღრევე დაატახებია რო-
გორც ძეირზასი მოქავშირ პოლიტიკურ დამოკიდებულებისთვის მრა-
ვალ ქრისტიან და მუსულმან სამთავროებთან, არაბთა ბატონობის ნან-
გრევებზე, ვანის ტბიდინ მოყოლებული კავკასიამდე რომ გაჩნდენ. და-
ვით კუროპალატის დაწინაურება რომან მეორეს დროიდან (†963 წ.)
უნდა იწყებოდეს, ვინაიდან აღმა ამ ხანაში იყო, მან რომ იმპერიი-
საგან „შემო“-ქვეყანის ზოგიერთი მიწა წაალობად მიიღო, ასაც მე-
ტად ზოგადი სიტყვით ტანს მკვიდრთა, ქართველ მთაწმიდელთა, იოანე
და ექვთიმეს ცხორება აღნიშნავს.

მიგრამ დავით კუროპალატის პიროვნების მნიშვნელობა გამოიკვეთა
უფრო გვიან, მის მიერ ბიზანტიურ შინაურ ბრძოლაში ჩატარებით 978—
—979 წწ., და აგრედავე მისი კეთილგანწყობილი და კევიანი შუამავ-
ლობით, საქართველოსა და სომხეთის საქმეებში. აქ იგი პირველად ყო-
ვლისა მნიშვნელოვანი იყო თავისი პიროვნული ღირსებითა და საშუა-
ლებებით, აგრედავ აღმა დიდი ბიზანტიის დიდი კაცის სახელითაც; იმპე-
რიის თვალში კი მას დიდი პატივი უნდა ჰქონდა ივერიელ და სომებს
მთავართა შორის უპირატესობით.

ამნაირად, როცა სომებთა მეფემ სმბათ მეორემ, დამპყრობელად წო-
დებულმა, (977—989) წარულო ციხე თავის ბიძას, ყარსის მეფეს მუ-
შელს, დავით კუროპალატი, მუშელის თანხლებით, ქართული ჯარით
ჩაერია. ციხე მუშელს დაუბრუნდა და სომებს მთავართა შორის მშვა-

დობა დამყარდა. ეს მოქმედება სმბატის წინააღმდევ უნდა მომხდარო— ყო 977—979წწ. მაგრამ სომხების მხრივ მთავარი პატივსადება დავითის მოღვაწეობაში იყო, უკეთოა, მათი მიწაწყალის განთავისუფლება ერზერუმსა და ვანის ტბის შეუ. ჩვენ ამას სხვაგან დაცუბდუნდგით.

საქართველოში დავითის ორლი იყო ფრიად ჩინებული. იგი იყო ერთნაირად ბებია (ამქმელი) საქართველოს სამეფოისა ანუ აფხაზურ-ივერიული მონარქიისა. აი, ამის შესახები არსებითი ფაქტები:

უძეო დავით კუროპალატმა იშვილა და ღლზარდა ტაოს მემკვიდრედ ყრმა ბაგრატი, დედით ჩამომავალი აფხაზთა მეფებისა და მამით გურგენის, ქართლის ბაგრატიდების სახლიდან, რომელსაც თვით დავითიც ეკუთხნოდა.

გატაცებულმა გაერთიანების მისწრაფებით, მაშინ რომ საქართველოში აისახა, კუროპალატმა სცადა ბაგრატისათვის სამი მემკვიდრეობა უზრუნველყო : — ტაოსის — შეილობილობით; აფხაზების — დედულობით; ქართლის — ბაგრატის საკუთარი საპატრიონო, რომელსაც მამა მისა გურგენი ვანაგებდა. ამგვარად: ბაგრატი მოწოდებული იყო ამ სამი მემკვიდრეობის შემაერთებელად და დავითი თავის თავს მის მოურავადა სთვლიდა.

ეს, რასაკვირველია, სულ მოკლედ აღნიშვნაა მთელ იმ ამბავთა, მეათე საუკუნის დასასრულს, ქართლის ბაგრატიდების მიერ აფხაზთა დინასტიის გადაყლობება რომ გამოიწვიეს. დავუმატოთ მხოლოდ, რომ ამ საქმეში დავითი მოქმედებდა როგორც ნამდვილი არბიტრი და ქართველ მთავრების და ფეოდალობის დამცველი და გამგე.

ასეთი იყო დროისა და პირობების მიხედვით დინასტურ წესზე მოქმედება, მიმართული მიზანის მისაღწევად და მხოლოდ ერთი მონარქის ხელში ქართულ მიწაწყალთა გასაერთიანებლად. ნაშვილევი და მემკვიდრე ტაოელ კუროპალატისა, მისგანვე ნახელმძღვანელევი და მხარმიცემული, ბაგრატი პირველად გამოცხადდა, ალბად 974—975 წწ. ქართლის მემკვიდრედ და მერმე, ჰასაკის მიღწევების შემდეგ, 977—978 წ. აფხაზეთის მეფედ. 1008-წ. იგი ავიდა მამის ტახტზე ქართლში და დარჩა გაერთიანებული სამეფოს გეირგევინოსანად სიკედილამდე — 1014 წ.

ამ ელემენტარული ფაქტების სინათლეზე ადვილი დასანახია ბუნება იმ დავისა, რომელიც, პირველად მაღული, გამოცხადდა კუროპალატის სიკვდილის უმაღლ, და რომელმაც, ოც წლის მერმე, ერთმანეთს დააჯახა ბასილი მეორე, დავითის უკანასკნელი ნების ვითომც მოსაჩინებლე, და გიორგი პირველი, საქართველოს მეფე, ბაგრატ მესამის შეილი, ტაოელ კუროპალატის ალიარებული მემკვიდრესი. აქ დაეტაკა ერთმანეთს ორი დებულება: ერთი ბიზანტიის იმპერიის, რომლითაც დავითს უნდა ეანდერძებიოს ბასილ მეორესათვის ყველა თავისი სამულობელო

და ამგვარად გაექარწყლებითს ბაგრატ მესამეს სასარგებლოდ მიღებული წინანდელი განკარგულებანი; მეორე — საქართველოსი, რომელიც მოიხსოვდა ტაოსა და მისგან დამოკიდებულ სამფლობელოებს ბაგრატ მესამეს მემკვიდრეობას, როგორც ქართველ მეფეთა მამულს.

ასეთი არის საკითხის გარეგანი მხარე; ოღონდ დავის საბუთები ნაკლებლია. ერთად-ერთი რაც დაგვრჩენია, ესაა აქა-იქ ავტობოთ და განვარჩიოთ მოწმობანი. მაგრამ მემკვიდრეობისათვის ამ დავის თუ დაგუპკირდებით, ესაა მწარე ბრძოლა, არსებითად ტერიტორიული და პოლიტიკური, „იმპერიასა“ და „პატარა სახელმწიფოს“ შორის, ბრძოლა, რომლის კვლა ელემენტის გამოჩენა საინტერესო იქნება. ვეცალთ მაინც მის საფეხურებს აყვევთ და დავიწყოთ იქიდან, რაცა დავით კუროპალატი ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ამში ჩაერია, რაც ჩვენ უკვე მოვიხსენით.

აჯანყებული გენერალის, ბარდას სკლიაროსის, გამარჯვების შეშით, ახალგაზრდა იმპერიატორები კონსტანტინე და ბასილი და დედოფალი თეოფანო, მათი დედა, იძულებულ გახდენ დავით კუროპალატისათვის შემწეობა ეთხოვთ. აქ იყვანება ისტორია, მეტად ქართული და ამავე დროს მეტად ბიზანტიური ათონის ბერისა, ივერიის ძველ თავადისა, თორნიკესი, დავით კუროპალატის თვალში საყვარელი კაცის, რომელსაც არა-ჩეულებრივი დიპლომატიური დავალებით თავის სამშობლოს გავზავნილს, ქართველი მთავარისაგან ასე სანუქეგარი შემწეობის მიღება უნდა მოეხეხებია, და რომელიც გახდა რა ისევ მეობარი, დავითის მიერ წარგზავნილ ჯარებს თავში ჩაუდგა და მას გამარჯვება მიანიჭა.

ამ სამხედრო დაშმარების სანაცვლოდ, ჩვენ ეს უკვე ვაციოთ, დავითის მნიშვნელოვანი ტერიტორიული მონაქერი გარდაეცა. წმ. იოანე და ექვთიმეს ცხორება ზოგადი სიტყვით ამბობს „საბერძნეთის ზემო მხარის“ შესახებ. მაგრამ „მსოფლიო ისტორიის“ ავტორი სტეფანე ტარონელი, ანუ ასოლიკი, ზუსტად აღნიშნავს: ხალთიანიჩის, „კლეისურას“ ე. ი. ვიწრო ყელს, ჩორბაირს, ბასიანს, სევუკის ანუ მარდალის ციხეს და პარქის და აპატუნიკის კანტონებს.

ეს ტერიტორია გადამიშულია ეფრატის და არაქსის ზემო ხეობიდან ვამჩის ტბის მეზობლობამდე. კერძოდ, ჰალტონიარიში მდებარეობდა, ყველა ალბათობის მიხედვით, ერზერუმის დასაელეტით, იქ, სადაც ენდანდელი ჩევნი რუკები ორ კაგდარისა ანუ კიაგდარის აღნიშნავს. გამაგრებული გასავალი იქ უნდა ყოფილიყო, რაც კარინის პატრონის როგორც ტრაპეზუნდთან, ისე მცირე აზის შიგნითენ მიმოსვლაზე ზედამხედველობას უადვილებდა.

კარინი, ბიზანტიური თეოდოსიოპოლის, არაბეთის კალიკალა, მო-

მავალი ერზერუმი, ციხე და ქალაქი ისმალთა, ივერიის მცყრობელს რომ დროებით გადაეცა, გასაკვირეველი არ უნდა იყოს, წინაუქმოდ. ეს ქალაქი იმყოფებოდა დავით კუროპალატის და მის წინაპართა სამფლობელოთა ახლო მეზობლად. ბრტყელი მთის ბარიერი განკოფს ტაოს ზემო-ეფრატის (ებლანდელი კარასუ) ხეობიდან, სადაც ერზერუმი მდებარეობს; ამ ქედს ვიწრო ხევი სჭრის და ეფრატის ხეობიდან ჭორობის შემდინარე მდინარე ოლთისის ხეობაში იძლევა გასაფალ გზას ოლთისისაკენ დღემდე რომ კიდევ გურჯი-ბოლაზი ჰქვია, კარები ანუ უფრო, „ყელი“ საქართველოსი.

რაა უფრო ბუნებრივი, თუ მეათე საუკუნეში, ხალიფატის დასუსტების დროს, იმპერიის სამხედრო წარმატებათა წყალობით, გახდა რა ბიზანტიური ეს ქალაქი, ჭორობის ხეობაში დამკვიდრებულ ქართველ მთავართა გულისურს აღრევე იზიდავდა?

კონსტანტინე პორფიროგენეტის ამის შესახებ მოთხრობაში ცველაფერი ნათელი არაა. მაგრამ მაინც უეჭველია, რომ თეოდოსიობოლის საქმის მოვგარების დროს, იმპერიამ მის მოკავშირე ქართველების ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლებასა და ინტერესებს ანგარიშით გაუწია. პორფიროგენეტის მოთხრობის მიხედვით, სჩანს, ქართველები ყოფილან მუდმივი წინააღმდეგი განადგურების პოლიტიკისა და შეუწყვეტელ ნერვებათ, რომელსაც იმპერია, ალბად სამხედრო მოსაზრებით, მაშინ ამ მხარეში იოლად მისდევდა, და მოსჩანს აგრძევე ქართველთა ზრუნვა წაექეზებიათ და ხელი შეეწყოთ სავაჭრო ურთიერთობისათვის მუსულმანთა ქალაქურ ცენტრებთან, ურთიერთობისათვის, წინააღ, არაბების ბატონობის დროს რომ შეიქმნა. კიდევ უფრო აღვილი გასაგები იქნება ქართველ მცლობელთა ეს თავგამოდება, თუ აღნიშნავთ კონსტანტინე პორფიროგენეტის კარგად ცნობილ მოწმობას არტანუჯი', ივერიელ ბაგრატიონა ამ ნამდვილ აკვანის, გაფურჩქვნილ ვაჭრობის შესახებ, აგრძევე მათ ურთიერთობაშე კარინის, აენიკის, მანაზეკრტის (მელაზგერდ) და სხვათა მუსულმანებთან; მათი ინტერესების დაზოგვა და დაცვა, ცხადია, ვაჭრობის პოლიტიკის მოსაზრებით ხდებოდა, რაც ბაგრატიოდებისთვის ასე მნიშვნელოვანი იყო. აღვილად შესაძლებელია, რომ ეს ქართველი მთავრები, ეპილესიათა დიდი აღმაშენებელი, საერთაშორისო და ქალაქთაშორისო ვაჭრობიდან თავის შემოსავალთა საგრძნობ წილს ღებულობდენ. ამგვარად განიმარტება მათი ქცევა, ალსავსე თავდაჭერითა და გონიერებით, მათ მეზობელ მუსულმანთა მიმართ. ცნობილია მაგალითად, რომ ბაგრატ მაგისტროსმა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო იოანე კურკუს ლაშქრობაში კარინის წინააღმდეგ — 934 წ., — დაპყრობილი მასტატი ამისათვის რო დაუთმეს შემდეგში კარინის მუსულმანებს ეს წანართმევი უკანვე დაუბრუნა.

ამასთან ქართველებს კარიბზე (ერზერუმზე) და მის მეზობელ მხარეებზე მხოლოდ თვალი კი არ ეჭირათ: მათ სწავლათ რომ მფლობელობის უფლებაც ჰქონდათ და ბიზანტიია აღთქმულ პირობით შეკრულად მიაჩნდათ.

კერძოდ, აუც შეეხება ფასიანს ანუ ბასიანს, ერზერუმის აღმოსავლეთით რომ მდებარეობს, არაქსის ზემო მიმდინარეობაში, დავით კუროპალატზე კარგა ხნით წინად, მისი წინაპრები თავის გავლენას ამ მხარეზე განაცრობდენ და მის უკან დაბრუნებას მოითხოვდნენ.

იქ მათ თავდაპირველად არაფერი გააჩნდათ, შემდეგ კი მათ მოიჭრეს იქ ერთი ნაწილი. არაქსი მას ბიზანტიურ სამფლობელოსაგან ჰყოდა იმ ხანაში, ოდეს კონსტანტინე მეშვიდე თავის თხუზულებასა სწერდა (დაახლოვებით 952 წ.).

როგორც ეხედავთ კარიბში და ბასიანში დავითის დადგომა, უპანაური კი არ იყო, არამედ შეესაბამებოდა იმ პოლიტიკას, ქართველი ბაგრატი დები რომ მისდევდენ. შესაძლებელია იგრძელე, რომ 978—979 წწ. ბიზანტიის მიერ ახალი დათმობილი იყო მხოლოდ ბასიანის ერთი ნაწილი, მეორე კი, არაქსის ჩრდილოეთით მდებარე, წინადვე დავითის მფლობელობაში იმყოფებოდა.

კუროპალატის სასარგებლოდ დათმობილ მიწაწყალთა სიაში ჩვენ აგრედევ ჰარეჟისა და აპამუნისის ბაზრებს ვხედებით. ეს გაფართოება ცხადათ ვანის ტბისაგრძა მიმართული და იგი მეტად მნიშვნელოვანია დავითის სომხური პოლიტიკის გასაშინჯავად.

სოლიკის მოწმობით, ბერძნებმა კუროპალატს ყველა აღნიშნული მიწაწყალი გადასცეს. ეს იქნებოდა მაინცდამაინც საქმის მეტად განმარტივება, თუ ამ მოწმობას საესებით დავიჯერებდით და თუ ლორანსაც კერწმუნებოდით, რომ „იმპერიამ ბარდოს სკლიაროსის წინააღმდეგ შემწეობისათვის 978 წ. დავითს უძღვნა დიდი ნაწილი ქვეყნისა, ერზერუმსა, ოოთისს და ვანის ტბის შუა“—ო. მაგრამ იმ დროს საბერძნეთი ნუ თუ ნამდვილად ფლობდა ამ ტერიტორიებს? ეს მეტად საეჭვოა. და მათი დაკავება იყო ტაოელ კუროპალატისათვის ხელმისაწდომი? ნაწილობრივ კი. ხოლო იმპერიის მიერ დათმობილ ამ მიწაწყალთა დიდი ნაწილი მას იარაღით უნდა დაეპრო. უფლება აღიარებული კუროპალატისათვის დაპყრობილი შეენარჩუნებია და მისი დაცვის გალდებულება, ბიზანტიური დათმობაც ეს იყო, ისიც იმ პირობით, რომ დავითის სიკედილის შემდგომ უკანვე დაებრუნებიათ.

(დასასრული შემდეგ)

ჭ. ავალიშვილი

მარიაშ დედოფალის დატუსაღება

და

ლენ. ლაზარევის მკლელობა

8 მაისს 1802 წელს, ქ. ტფილისში, ღენერალმა ქნორინგმა გამოაცხადა ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია რუსეთის იმპერიის მიერ. ქართველობამ რუსის მთავრობას, ამ ვერაგულ დაღატზედ, იარაღით უპასუხა. ანექსიის გამოცხადების უმილვე, ქართლკახეთში აჯანყებამ იფეოფა. რუსის სარდლობამ აჯანყება სისხლის მორევში ჩაახჩიო, ხოლო რათა ეროვნული ბრძოლისათვის თავი წაეკეთა და იგი დასაწყისშივე საბოლოოდ ჩაეკლა, ამბობების სულის ჩამდგმელი და ხელმძღვანელი — ბატონიშვილები — დაატუსაღა და რუსეთს გადაასახლა. არც სამეფო საგვარეულოს ქალები დაინდეს, და ხნიერნი თუ სნეულნი, ყველა ცივი ჩრდილოეთისაკენ გაამგზავრეს. მხოლოდ იულინ და ფარნაოზ ბატონიშვილებმა მოასწრეს, ცოლშვილით, იმერეთის სამეფოში, თავის დისტულ, მეფე სოლომონ მეორესთან თავის შეფარება და ალექსანდრე ბატონიშვილი თავისი ძმისტულით, თემურაზით, სპარსეთს გადავიდა. რუსის აღმინისტრაციის რისხვას, დროებით, გადაურჩა მეფე გიორგის ქრისტი, მარიამ დედოფალი, ქალიშვილი გ. ციცილშვილისა და 1803 წელს, აპრილს, ჯერ კიდევ ტფილის ქალაქში იმყოფებოდა. ამ დროს ქართლ-კახეთის გაუქმებულ სამეფოს გამგედ, იმპერატორ ალექსანდრეს ყოვლად ერთგული და მონა-მორჩილი, გარუსებული ღენერალი ციციანოვი იყო.

ქართველობა და თვით მარიამ დედოფალი გარეად ხედავდა, რომ მას რუსის მთავრობა საქართველოში დიდხანს არ აბოვინებდა და მალე მასაც შორეულ რუსეთს უკრავდა თავსა. ქართველობა ძალიან დანაღელიანებული იყო ბატონიშვილების გადასახლებით და მარიამ დედოფალს ებლა უჭებოდა, როგორც უკანასკნელ იმედს... შეჩერებული ბაგრატიონთა მიერ მოელა-ბატრონობას, ქართველი ხალხი გრძნობდა, რომ დედოფალის გაძევებით, იგი უკანასკნელ მფარველ-ბატრონსა ჰქარგთვდა. ჩასაკვირველია, სასახლეში გამომწერდებულს, ყოველივე ცფლება აყრილს და რუსის უანდარმების თვალ-ყურის ქვეშ მყოფ დედოფალს ხალხის პატრონობა არ შეეძლო. მაგრამ ის ფაქტიც კი, რომ დედოფალი საქართველოში იმყოფებოდა, ხალხს ამხნევებდა და საბო-

ლომ გამარჯვების იმედს აძლევდა. გარდა იმისა, მაშინდელი ქართველი ხალხი ეროვნული სახელმწიფოს წილში იყო იღზრდილი და საკმარისი პოლიტიკური შეგნება ჰქონდა. ქართველობამ იცოდა, რომ თუ იგი შესძლებდა რუსების გადევნას და სამეფოს აღდგენას, სანამ ქართლ-კახეთის ტახტს ქანონიერი მემკვიდრე გამოუჩნდებოდა, სახელმწიფოს გამგებლობა მარიამ დედოფალს უნდა ეკისრა. იმიტომ ფშაველებმა გადასწუვიტეს მარიამის ტფილისიდან გაპარება. იმ ძნელა საქმის განხორციელება მათ მიანდეს კინმე ფშავ გალილას, კაცს „უსაზღვრო სიგმირისა და ბუმბერაზული ტანისა“ — როგორც მას აგვიწერს იმდროინდელი ფრანგი მოგზაური როტიერ (როტტიერს).

გალილა რამდენჯერმე ჩამოვიდა ტფილისში, დედოფალი საიდუმლოდ ინახულა და მასთან ერთად გაქცევის გეგმა გამოაწყო. მაგრამ ციციანოვის აგენტებს არ ეძინათ. პავლე ციციანოვს დედოფალთან ჯაშუშად ჰყავდა შეჩენილი კინმე ქალატოზიშვილი, მხლებელი დედოფალისა და მის მიერ ნდობით აღჭურვილი. იმ იუდამ რუსთა ეერცხლის ფასად გაჰყიდა თავისი გვირგვინოსანი დედოფალი. მუხანათმა ყოველისცერი შეიტყო და ციციანოვს ენა მიუტანა.

11 პპრილს 1803 წელს გალილა ტფილისში ჩამოვიდა. ყოველიც მზად იყო. შეიარაღებული ბიჭები, ცენტ - ჯორებით, კუკიის ბაკებში დამალულნი, ბელადის ბრძანებას ცუდიდენ. გალილა დედოფალს ეხსლა სასახლეში და მოახსენა, რომ საქმე გაჩარჩული იყო: იმ ღამესვე მარიამი თავისი დედით, შეიღებით და მოახსლეებით, ჩუმად უნდა გამოსულიყო სასახლითგან, მისულიყო დანიშნულ ადგილას, და გალილასთან ერთად, მოების გზას შესდგომოდა. დედოფალის და თავ-განწირული ყმის საუბარს გამცემელი ქალატოზიშვილიც დაესწრო... — როდესაც გალილა სასახლითგან გამოვიდა, მას პოლიციელები შემოერტყენ და ღენერალ ციციანოვს მიდგარეს. ციციანოვმა კალატოზიშვილი წინასწარ დამალა. გალილა ღენერალის სამუშაო დაჩაზრდი შეიყანეს. ღენერალს თარჯიმანად ვინმე სომეხი ახლდა, რომლის გვარი ისტორიულ საბუთებში არა სჩანს.

როტიერ სიტყვა-სიტყვით გაღმოვეცემს ღენერალ ციციანოვის და დედოფალის ერთგული მხედრის დიალოგს: —

ციციანოვ მაგიდასთან იჯდა. გალილა მის პირდაპირ დააყენეს.

— „გამარჯობა, ციციანოვ“! — მიესალმა გალილა.

— რისთვის ჩამოველ ტფილისში!

— მარილის სასყიდლად.

— სინამდვილეს ნუ მიმალავ, განა სხედა მიზანი არა გქონდა? — არა.

— ფშავო, შენი სიცოცხლე შენს მართალ ჩვენებაზეა დამოკიდებული.

ლი. იცოდე, თუ ყველასფერში არ გამოტყდები, მე შემიძლია ეხლავე და აქვე თავი გაგაგდებინო.

— თავი გამაგდებინო? ! მერე ვისი ხელით გამაგდებინებ თავსა? ამ შენი სომები თარჯვემანის ხელით თუ? — გალილამ ხანჯალზე ხელ დაიდო და მუქარით განაგრძო: — ხანჯალი წელზედ არ მარტყია თუ?!

უნდა აღვნიშნო, რომ ლენერიალმა გალილა განგებ არ განაირალებია და თავისთან ეითომუ სხვა საქმეზედ დაიბარი. მიხედა რა ციციანოვა, რომ ამგვარ მედგარ კაცხედ მუქარით ვერას გახდებოდა — მოგვითხრობს როტიერ — წამოდგა, ღიმილით მიუახლოვდა და რათა დაყვაებით მოეგო მთიელის გული, მეგობრულად მხარზედ ხელი დაადო, თაოქოს მთალერსება უნდაო და ტქბილი ხმით უთხრა —

— ჩემთ გულადო მეგობარო, ნუ ლელავ, აქ არასფერი დაგიშავდება. ხოლო სოქვი სიმართლე!

მაგრამ გალილაზედ ვერც მუქარა და ვერც დაყვავება სჭრიდა: — იგი ციც უარზედ იდგა და არ სტყდებოდა. მოულოდნელად, ლენერლის ნიშანზედ ტახტის ქვეშითვან გამოძრვა კალატოზიშვილი და გალილას პირზედ დაადგა: —

— გალილავ, კერძობა გეყოფა, გამოტყდი რად ჩიმოხელ ტფილის; ხომ ხედავ აქვ ვარ რათა გამხილო! არ გახსოვს გუშინ რომ დედოფალთანა გნახე, როდესაც დედოფალს მოახსენე, გასაქცევად ყოველივე მზად არისო, რომ მას და მის შეილებს კუკიაში გამზადებული ჯორები უცდიანონ?

განციფრებულმა ფშავმა მუხანათს ზიზლით და აღშეფოთებით შეხდა და ბრაზ-მორეულმა წამოიძახა: —

— ყოველივე სიყალბე და სიცრუეა!

მაგრამ ციციანოვა ფშავის აღშეფოთებულ და გაოცებულ თვალებში სინამდეილე უავე ამოიკითხა. მის ნიშანზედ ოთახში, მოულოდნელად შემოცველებ ექვსი რუსის გრენადერი, გალილას ქამარ-ხანჯალი ააწყვიტეს და თავისრი კონდახებით დაუმსხვრიეს. ხელებ-გაკრულ მთიელს მოლალატე კალატოზიშვილმაც სილა გაარტყა.

რუსის გრენადერების მიერ გაკავებული, განიარაღებული, დამცირებული, თავ - პირ - დასისხლიანებული, გულში ჩაქლულ უძლური ბოლმით, იდგა მთის არწივი — გალილა — რუსი ლენერილის წინაშე ვით გახორციელება და ცოცხალი სიმბოლო რუსების წიხლ - ქვეშ გათელილ, მკერდ - განგმირული მაშინდელი საქართველოსი.

— გაათრიეთ აქეთგან! — დაიღრიალა ლენერიალმა. გალილა უკანასკნელად მიუბრუნდა ლენერიალს; პირითვან სისხლი სდიოდა: —

— დალატით დამირჩინეთ! პირისპირ შემბმოდით, ყველას ხანჯლით აგქუწავდით!

სამშობლოსათვის და დედოფალისათვის თავდაცებული გალილა ჩუ-
სის ჯალათებმა ჩამოახრჩეს. ხოლო დედოფალი მარიამის გაძევება ცა-
ციანოემა დოგბანს არ დაახანა. ბრძანება გასცა, გაუფრთხილებლად და
მოუმზადებლად, მეორე დღესცე და ეტუსალებით საქართველოს დემო-
ცალი და რუსეთში გადაესახლებიათ. ეს საქმე საქართველოს მმართ-
ველმა — პავლე ციციანოემა — ღენერალ ლაზარევს მიაწოდ. ლაზა-
რევი შთამომავლობით ტფილისელი სომეხი, რუსეთს გადასახლებუ-
ლი და ციციანოვისამებრ გარუსებული იყო.

ბეკრნაირი ვარიანტი არსებობს მარიამ დედოფლის დატუსალების
და მის მიერ ღენერალ ლაზარევის მოკვლის შესახებ. დროთა განმავ-
ლობაში ამ ამბის გარშემო მრავალი ლეგენდა შეიქმნა. ეს მოკვლენა
ხშირია ისტორიაში. ისტორიული ფაქტები ლეგენდებს და ფანტაზიებ
სშირად დაუმახინჯებიათ ხოლმე.

ამ ამბის შესახებ შესწავლილი მაქას ყველა არსებული საბუთე-
ბი და ქრინიკები, და ამიტომ შემიძლია მკითხველი დავარწმუნო, რომ
სინამდვილეს საცემით მხოლოდ ქვემორე მოყვანილი აღწერა უნდა
შეადგენდეს:

გალილას დატუსალების დღესცე, ღენ. ციციანოემა შემდეგი ბრძანება
გასცა: — 1. ხეალვე დატუსალებულ უნდა იქმნას დედოფალი მარიამი
და რუსეთს გამზადერებული; 2. ამ ბრძანებას სისრულეში ღენერალი
მარიამ ივანე პეტრეს ძე ლაზარევი მოიყვანს; 3. დატუსალებას უნდა
მიეცეს ჭერიშის და პარატის ხასიათი; 4. ღენ.მარიონი ლაზარევი ამ შე-
მთხვევისათვის შეიმოსება პარატის მუნიკიპატი; 5. ღენერალ ლაზარევის
თანახლდება კაპ. სოროკინ თარჯიმანად, როგორც ქართული ენის
მცოდნე; 6. ღენ. ლაზარევი თან იახლებს ქვეითი პოლკის ორ ასეულს,
სამხელო მუსიკით თავში და დედოფლის სასახლეს გარს შემოერტყ-
მის 12 აპრილს დილით აღრჩ.

ბრძანებისამებრ, 12 აპრილს 1803 წელს, ღენერალი ლაზარევი, მუ-
სიქით პარატის მუნიკიპატი გამოწყობილი და მრავალ ჯვარ-მენდლე-
ბითა და გარსკელავ - აკინძული, დილის სისხამზედ დედოფალ მა-
რიამის სასახლის კარგებს მიადგა. სასახლეს ჯარი გარშემო შემოერტყა,
ყველა გამოსაგალზედ გუშაგები დააყენა და ოვით, დაუკითხავად და
მოუხსენებლივ, მოულოდნელად დედოფლის განყოფილებაში შეიქრა.
მარიამი უკვე ლოგიტიდან ამდგარი იყო და სახლის აიგანზე მყყოფე-
ბოდა. აიგანი ძეირფასი ხალებით იყო დაგებული. დედოფალი ხალჩედ
ბრძანდებოდა მოკეცილი და ბალიშზედ დაყრდომილი. მის გვერდით
მის პატარა შვილებს ეძინათ, რომელთა შორის კველაზედ უფროსი
მხოლოდ ცხრა წლისა იყო. ლაზარევი შემოვიდა თავხედურად, უზრ-
დელად, და დედოფალს სალამიც კი არ მისცა. შემოსელისათანავე ღე-



